საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9740/01
15/09/2021

9740-01-2-202109151742

შპს „ემარს“
მის: ქ. წყალტუბო, გ. ხანძთელის ქ. N45ა
ელ. ფოსტა: prafjain652@gmail.com

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2021 წლის 24 აგვისტოს N15114 განცხადება, რომელიც ეხება წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირში განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების გადამამუშავებელი (ნარჩენების აღდგენა) საწარმოს ექსპლუატაციის სკოპინგის ანგარიშს და გაცნობებთ შემდეგს:

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, კომპანიას წარმოების პირველ ეტაპზე დაგეგმილი აქვს წელიწადში დაახლოებით 10080 ტონა გამოუსადეგარი საბურავების გადამუშავება, ხოლო მომავალში გაზრდილი მოთხოვნის შესაბამისად დაგეგმილია საქმიანობის გაფართოება. სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას საწარმოს მაქსიმალური წარმადობის შესახებ. გარდა ამისა, სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმო იმუშავებს ერთცვლიანი სამუშაო გრაფიკით, ცვლის ხანგრძლივობით 10 სთ/დღ (წელიწადში 336 დღე), ხოლო ბაზრის მოთხოვნის შესაბამისად გაიზრდება სამუშაო ცვლის რაოდენობაც. სკოპინგის ანგარიშში წარმოდგენილი უნდა იყოს სამუშაო გრაფიკი, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის შესაბამისად;
- როგორც სკოპინგის ანგარიშშია მოცემული ამჟამად საწარმოში დამონტაჟებულია ჩინური წარმოების დანადგარები, რომლებიც საწარმოში მოეწყო 2017 წელს, ასევე წარმოდგენილია დანადგარების ფოტომასალები. სკოპინგის ანგარიშში არ არის წარმოდგენილი ტექნოლოგიური დანადგარების საპასპორტო მონაცემებისა და თითოეული დანადგარის წარმადობის შესახებ ინფორმაცია;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორიას სამხრეთით, დაახლოებით 120 მ-ში ესაზღვრება საავტომობილო გზა, თუმცა დოკუმენტაციაში არ არის წარმოდგენილი სატრანსპორტო სქემა, კერძოდ როგორ მოხდება საწარმოში ნედლეულის შემოზიდვა და მზა პროდუქციის გატანა. მონაცემთა ელექტრონული გადამოწმების მიხედვით, საწარმომდე მისასვლელი გზა, სავარაუდოდ, გადის ფიზიკური პირი მანანა გეგეშიძეს საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე (ს/კ 29.12.31.507). ამასთან აღნიშნულია, რომ კომპანიას იჯარის ხელშეკრულებით აღებული აქვს ფიზიკური პირი კახა ბუმბეიშვილის საკუთრებაში არსებული მომიჯნავე ნაკვეთი (ს/კ 29.12.31.254), რომელიც მდებარეობს გზის პირას. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმომდე მისასვლელი გზის (ტერიტორიის) საკითხი და ტრანსპორტის მოძრაობის სქემა;

- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საპროექტო ტერიტორია მდებარეობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფ. ქვიტირში შპს ,,რეზინების ტექნოლოგის" საკუთრებაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 29.12.31.093), რომელსაც შპს ,,ემარი" იყენებს იჯარის ხელშეკრულების საფუძველზე. ამასთან აღნიშნულია, რომ კომპანიას იჯარის ხელშეკრულებით აღებული აქვს ფიზიკური პირი კახა ბუმბეიშვილის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მომიჯნავე ნაკვეთი (ს/კ 29.12.31.254), რომელიც გამოყენებული იქნება ნედლეულის ღია საწყობად (განადგურებას დაქვემდებარებული საბურავების შტაბელებად დასაწყობებისთვის). სკოპინგის ანგარიშში საპროექტო ტერიტორიად განხილულია მხოლოდ შპს ,,რეზინების ტექნოლოგის" საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ 29.12.31.093) და წარმოდგენილია აღნიშნულის Shp ფაილი. ვინაიდან საპროექტო ტერიტორია შედგება ორი ნაკვეთისგან, სკოპინგის ანგარიშში განხილული უნდა იქნას ორივე ტერიტორია, მათზე ზემოქმედების შესაბამისად (მათ შორის წარმოდგენილი უნდა იქნას საპროექტო ტერიტორიის (ორივე ნაკვეთის) სრული Shp ფაილი);
- სკოპინგის ანგარიშში არ არის მოცემული ინფორმაცია მომიჯნავე ტერიტორიაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე ნედლეულის/ნარჩენების დასაწყობების პირობებისა და აღნიშნულ ობიექტზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკოპინგის ანგარიშში არ არის განხილული საწარმოს განთავსების ტერიტორიის ალტერნატივები, კერძოდ აღნიშნულია, რომ წინასაპროექტო ეტაპზე განხილული იყო საწარმოს განთავსების რამდენივე ვარიანტი, თუმცა დოკუმენტში მოცემულია მხოლოდ შერჩეული ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია. ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-8 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სკოპინგის ანგარიში უნდა მოიცავდეს ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობისა და მისი განხორციელების ადგილის ალტერნატივების შესახებ;
- სკოპინგის ანგარიშის თანახმად, საწარმოში სასმელ-სამეურნეო დანიშნულებით გათვალისწინებულია წელიწადში სულ 683.4 $მ^3$ წყლის გამოყენება. სკოპინგის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ ჩამდინარე წყლების რაოდენობა იანგარიშება გამოყენებული სასმელ-სამეურნეო ჩამდინარე წყლების 5%-იანი დანაკარგების გათვალისწინებით, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სკოპინგის ანგარიშში მოცემული ჩამდინარე წყლის რაოდენობა (204.25 $მ^3$/წელ) საჭიროებს დაზუსტებას.

გაცნობებთ, რომ სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკოპინგის დასკვნის მიღების მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს აღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით და „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით" დადგენილი სრულყოფილი დოკუმენტაციის სამინისტროში წარმოდგენის შემდეგ.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე